

საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიმძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს „[მეწარმეთა შესახებ](#)“ [საქართველოს კანონის](#) შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, [საქართველოს სამოქალაქო კოდექსით](#) განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხს.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა) ფიზიკურ პირებზე (ინდივიდუალური მეწარმეების გარდა);
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე;
- გ) ბანკებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) გადახდისუუნარობა – მოვალის უუნარობა, დაკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა;
- ბ) მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი მოვალე – მოვალე, რომელიც სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში უახლოეს მომავალში გახდება ან შესაძლებელია გახდეს გადახდისუუნარო;
- გ) მოთხოვნა – ნებისმიერი ვალი ან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რომლის შესრულების მოვალეობა ან შესრულებისთვის პასუხისმგებლობა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის ეკისრება მოვალეს და რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დაუზუსტებელ მოთხოვნებს, პირობით მოთხოვნებს, ვადამოუსვლელ მოთხოვნებსა და ჯარიმებს;
- დ) დაუზუსტებელი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომელიც ჯერ არ არის დაზუსტებული და მოიცავს მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, ხელშეკრულების დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ან სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა მოთხოვნებს;
- ე) პირობითი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე და რომელიც, ამასთანავე, მოიცავს გარანტიასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც დამოკიდებულია მოვალის მიერ თავისი ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე;
- ვ) ვადამოუსვლელი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომლის გადახდის ვადა არ დამდგარა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის;
- ზ) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონება – იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ან სასამართლოს მიერ დაყადაღებული ქონება, აგრეთვე [საქართველოს საგადასახადო კოდექსის](#) საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფით მიღებული ქონება;
- თ) რეგისტრაცია დაუზუსტებელი მახასიათებლებით – უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მოთხოვნის გარეშე, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში წარმოდგენილი უძრავი ნივთის ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე, რომელიც დასტურდება ამ უფლების დადგენის შესახებ დოკუმენტით;
- ი) კრედიტორი – პირი, რომელსაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა (მათ შორის, ვადამოუსვლელი მოთხოვნა);
- კ) ახალი კრედიტორი – სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი კრედიტორი;
- ლ) უზრუნველყოფილი კრედიტორი – კრედიტორი ან ახალი კრედიტორი, რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან [საქართველოს საგადასახადო კოდექსით](#) დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით;
- მ) კრედიტორთა გადაწყვეტილება – კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილება;
- ნ) მონაწილე – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების,



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების აქციონერი, კოოპერატივის წევრი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამხანაგობის მონაწილე, არარეგისტრირებული კავშირის წევრი;

ო) დაკავშირებული პირი:

ო.ა) ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის](#) თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხება;

ო.ბ) საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;

ო.გ) იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე;

ო.დ) იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

ო.ე) იურიდიული პირის პარტნიორი ან დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინოს ამ პირის გადაწყვეტილებებზე;

პ) ნათესავი – [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით](#) განსაზღვრული პირი;

ჟ) უცხოელი კრედიტორი – ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში, ან იურიდიული პირი, რომლის იურიდიული მისამართი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არარეზიდენტ იურიდიულ პირს ფილიალი (წარმომადგენლობა, სააგენტო) საქართველოს ტერიტორიაზე აქვს;

რ) სამეურვეო ქონება – ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ასევე ამ მომენტიდან შექმნილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება;

ს) რეაბილიტაცია – საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით;

ტ) გაკოტრების საქმის წარმოება – საპროცესო და ხელმძღვანელობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით შესაძლოდ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად სამეურვეო ქონების რეალიზაციის გზით;

უ) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი – იურიდიული პირი, რომელიც ასეთად მიჩნეულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და რომელიც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სახსრებს მოიზიდავს ფიზიკური პირებისაგან და მოზიდული სახსრებით გასცემს სესხებს;

ფ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა – [ამ კანონის 3¹-მუხლით](#) გათვალისწინებული სისტემა.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი № 2003 - სსმ I, № 35, 19.11.2009 წ., მუხ. 267](#)

[საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6321 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი №4195 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 3 ივნისის კანონი №5155 - ვებგვერდი, 17.06.2016წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №447 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.](#)

მუხლი 3¹. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა

1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა (შემდგომ – ელექტრონული სისტემა) უზრუნველყოფს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნებას და ამ კანონით გათვალისწინებულ პირებს (სუბიექტებს) შორის გაცვლას.

2. ელექტრონულ სისტემაში განთავსდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მიღებული ყველა სასამართლო განჩინება მათი გამოტანიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ელექტრონულ სისტემაში ქვეყნდება ასევე კრედიტორთა კრების,



მომრიგებელი საბჭოს, მეურვის, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის მმართველის გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში განთავსება ითვლება მის ოფიციალურ გამოქვეყნებად.

3. ელექტრონული სისტემის მეშვეობით გაგზავნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ითვლება შესაბამისი ადრესატისათვის ჩაბარებულად/შესაბამისი ადრესატის მიერ მიღებულად მისი სისტემაში განთავსების მომენტიდან.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი №653 - ვებგვერდი, 10.05.2017წ.](#)

მუხლი 4. სასამართლო განსჯადობა

1. ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დგინდება სპეციალური განსჯადობა.

2. ამ კანონით გათვალისწინებულ საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები.

3. ამ კანონით გათვალისწინებული საქმეების განხილვის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს.

4. სასამართლო გადახდისუუნარობის საქმეს განიხილავს მოვალის იურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საქმეს – მოვალის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

5. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს.

5¹. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოშობილ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას განიხილავენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები.

5². თუ კრედიტორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ქონება, რომელზედაც მიმდინარეობს დავა, მათი ინტერესის საგანია, აღნიშნულ ქონებაზე დავა მიმდინარეობს ამ მუხლის მე-5 და 5¹ პუნქტებით განსაზღვრული წესით. თუ კრედიტორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ სადავო ქონება არ არის მათი ინტერესის საგანი, მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდება.

5³. თუ ქონებაზე არ მიმდინარეობს დავა, მაგრამ ის შეიძლება გახდეს დავის საგანი, კრედიტორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას, არის თუ არა აღნიშნული ქონება მათი ინტერესის საგანი და დაიწყოს თუ არა დავა სასამართლოში. თუ ეს ქონება მათი ინტერესის საგანია, მასთან დაკავშირებული დავა განიხილება ამ მუხლის 5¹ პუნქტით განსაზღვრული წესით.

6. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში ამ მუხლის მე-5, 5¹, 5² და 5³ პუნქტებში გათვალისწინებულ დავებს განიხილავენ და გადაწყვეტილებებს გამოიტანენ ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668– ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 5. გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოსაყენებელი საპროცესო ნორმები

1. ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები.

2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის](#) ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას. კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5667– ვებგვერდი, 30.12.2011წ.](#)

მუხლი 5¹. გაკოტრებით დასრულებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობა

1. ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოვალის ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოვალის გაკოტრებით სრულდება არა უგვიანეს 207 დღისა.



2. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ვ“ ქვეპუნქტებითა და 1 პუნქტით გათვალისწინებული კრედიტორის (კრედიტორების) ინიციატივით დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოება მოვალის გაკოტრებით სრულდება არაუგვიანეს 225 დღისა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გახანგრძლივება დაუშვებელია. ვადის გახანგრძლივება დაიშვება მხოლოდ [ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით](#) დადგენილი გამონაკლისის დროს.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 6. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საპროცესო ხარჯები

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანი პირი ვალდებულია განცხადებასთან ერთად სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს 5 000 ლარი. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ამ თანხიდან ანაზღაურდება საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში აღნიშნული თანხა დაუბრუნდება განმცხადებელს.

2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანისათვის დადგენილია სახელმწიფო ბაჟი 5 000 ლარის ოდენობით.

3. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია მოვალე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება მოვალეზე, როდესაც იგი [ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის](#) მიხედვით მოითხოვს გაკოტრებას.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

თავი II გასაჩივრება

მუხლი 7. სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანა

1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ განჩინების ფორმით მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა.

2. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

3. კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო განჩინება.

მუხლი 8. სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანის ვადა

1. კერძო საჩივრის სასამართლოში შეტანა შეიძლება განჩინების ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 5 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

2. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 9. სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანის შედეგი

1. კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

2. თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 10. კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომი სასამართლოს მიერ

1. ზემდგომი სასამართლო კერძო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას გამოიტანს 14 დღის ვადაში.

2. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 11. დავის საერთო სასარჩელო წესით განხილვა

1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად :

ა) იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ აისახება კრედიტორთა ნუსხაში ;

ბ) [ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5, 5¹, 5² და 5³ პუნქტებით](#) გათვალისწინებულ მოვალის ქონებასთან



დაკავშირებულ დავებზე.

2. მოსარჩელე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტი ს „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარჩელი კრედიტორთა პირველი კრების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში შეიტანება გადახდისუუნარობის საქმის განხილველ სასამართლოში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია 5 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. საკასაციო სასამართლო ვალდებულია 3 დღის ვადაში მიიღოს სარჩელი წარმოებაში და მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში დაასრულოს საქმის განხილვა.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი № 2003 - სსმ I, № 35 , 19 . 11 .200 9 წ., მუხ. 267](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668– ვებგვერდი,16.01.2012წ.](#)

მუხლი 12. გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესის შეჩერება

1. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

2. თუ საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ [ამ კანონის მე-11 მუხლით](#) გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილება არსებითად შეცვლის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შედეგს, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება კრედიტორთა პირველი კრების ჩატარების თარიღის [ამ კანონის მე-11 მუხლით](#) გათვალისწინებულ სარჩელზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 90 დღით გადატანის შესახებ.

3. გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესის შეჩერება დაუშვებელია მესამე პირის სარჩელის საფუძველზე.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი № 2003 - სსმ I, № 35 , 19 . 11 .200 9 წ., მუხ. 267](#)

თავი III

განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ

მუხლი 13. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველი

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის საფუძველია მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

მუხლი 14. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანაზე უფლებამოსილი პირები

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აქვს:

ა) გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს, თუ ვალის ოდენობა არანაკლებ 50 000 ლარია და გადასახადის გადახდის ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 60 კალენდარული დღისა;

ბ¹) საქართველოს ეროვნულ ბანკს – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის გადახდისუუნარობის საკითხთან დაკავშირებით;

გ) კრედიტორს, თუ იგი მოვალის მიმართ წარადგენს კანონიერ ძალაში შესულ სხვა კრედიტორთა სასარგებლოდ გამოტანილ არანაკლებ 2 სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც მიქცეულია იძულების წესით აღსასრულებლად და საერთო თანხა აღემატება 50 000 ლარს;

დ) კრედიტორს (კრედიტორებს), რომლის (რომელთა) მოთხოვნაც ბოლო ფინანსური ანგარიშგების მიხედვით აღემატება მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 30%-ს და მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა;

ე) 2 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს;

ვ) არანაკლებ 3 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

1¹. სასამართლომ შეიძლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე გადაწყვეტილება



მიიღოს, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრედიტორის (კრედიტორების) გარდა, სხვა კრედიტორის (კრედიტორების) განცხადების საფუძველზე და, თუ ეს კრედიტორი (კრედიტორები) წარადგენს (წარადგენენ) არგუმენტირებულ განცხადებას მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოვალეს უნდა მიეცეს ვადა თავისი პოზიციის წარმოსადგენად.

2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება ამ მუხლში (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა) აღნიშნულ პირებს აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ვადაგადაცილებული მოთხოვნის (მოთხოვნების) შესახებ მოვალე წერილობით იყო ინფორმირებული კრედიტორის (კრედიტორების) მიერ განცხადების შეტანამდე არა უგვიანეს 30 დღისა. შეტყობინებაში იმავდროულად უნდა აღინიშნოს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის თაობაზე.

2¹. მოვალე უფლებამოსილია განცხადებით მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე გაკოტრება. რეაბილიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს რეაბილიტაციის გეგმის პროექტი, რომელსაც განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, საერთო წესების დაცვით განიხილავს სასამართლო მეურვის დასკვნასთან და მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

3. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება განმცხადებელმა შეიძლება გამოითხოვოს მისი წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე.

4. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სისტემაში განთავსებული ფორმით და სისტემაში მითითებული წესების დაცვით.

5. ამ მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია კრედიტორის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე გამოიტანოს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტამდე ამ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების ამოქმედების თაობაზე. სასამართლოს ეს განჩინება გამოაქვს კრედიტორის მიერ განცხადების შეტანიდან 1 დღის ვადაში.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი № 2003 - სსმ I, № 35, 19.11.2009 წ., მუხ. 267](#)

[საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი № 3806 - სსმ I, № 66, 03.12.2010 წ., მუხ. 414](#)

[საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი № 6321 - ვებგვერდი, 12.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი № 6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი № 142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი № 1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი № 2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 3 სექტემბრის კანონი № 4195 - ვებგვერდი, 10.09.2015წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი № 4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი № 184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი № 447 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი № 759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 15. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების ფორმა

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) სასამართლოს დასახელება, სადაც შეაქვთ განცხადება;

ბ) განმცხადებლის (განმცხადებლების) გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ განცხადება შეაქვს განმცხადებლის წარმომადგენელს;

დ) მოვალის სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) განცხადების შეტანის საფუძველი;

ვ) განცხადებისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა.

2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს მასში მითითებული ყველა გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო თუ განმცხადებელმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლო მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, სასამართლოს შეუძლია განმცხადებლის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი № 2003 - სსმ I, № 35, 19.11.2009 წ., მუხ. 267](#)

მუხლი 16. მოვალის მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანა

1. მოვალის მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება [ამ კანონის მე-15 მუხლით](#) დადგენილი მონაცემების გარდა უნდა შეიცავდეს:

ა) მოვალისათვის ცნობილი ქონების ნუსხას, აგრეთვე მის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ოდენობას, ამ ანგარიშების რეკვიზიტებისა და ბანკების მისამართების მითითებით;

ბ) უზრუნველყოფილ კრედიტორთა ნუსხას არსებული ვალდებულებების, უზრუნველყოფის საგნებისა და კრედიტორთა სახელების (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომერების) მითითებით;



გ) მოვალისათვის ცნობილი დანარჩენი კრედიტორების ნუსხას არსებული ვალდებულებებისა და კრედიტორთა სახელების (სახელწოდებების) და მისამართების (საიდენტიფიკაციო ნომრების) მითითებით;

დ) მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მოვალე გადახდისუუნაროა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე იმყოფება.

2. თუ მოვალე ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და, ამასთანავე, მიაჩნია, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის გაკოტრების დაწყების შემთხვევაში თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, მოვალის მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მონაცემების გარდა უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას, რომ გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მითითების დამადასტურებელ მტკიცებულებას.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6388 - ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)

მუხლი 17. მოვალის მოთხოვნა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ

1. თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. მომრიგებელი საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოვალე უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება.

მუხლი 18. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანა კრედიტორის (კრედიტორების) მიერ

1. კრედიტორის (კრედიტორების) მიერ სასამართლოში შეტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება [ამ კანონის მე-15 მუხლით](#) დადგენილი მონაცემების გარდა უნდა შეიცავდეს:

ა) კრედიტორის (კრედიტორების შემთხვევაში – თითოეული კრედიტორის) მიერ მოვალისაგან მოთხოვნილი თანხის ოდენობას;

ბ) ვალის წარმოშობის საფუძველს, თარიღს (თარიღებს) და მითითებას, უზრუნველყოფილია თუ არა ეს ვალი;

გ) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვალი ვადამოსულია და ექვემდებარება გადახდასა და დადასტურებას, აგრეთვე რომ მოვალე 30 დღით ადრე წერილობით იყო ინფორმირებული ვადაგადაცილებული მოთხოვნის თაობაზე;

დ) მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მოვალე გადახდისუუნაროა;

ე) მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ მოვალე ამ კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის თაობაზე.

2. პირი, რომელიც უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით შეიტანს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას მოვალის წინააღმდეგ, პასუხს აგებს მოვალისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის.

თავი IV

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება და მისი შედეგები

მუხლი 19. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების ვადა

1. სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში, გარდა ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე.

3. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, გადახდისუუნარობის საქმე გახსნილად ითვლება განცხადების შეტანის დღიდან.

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 20. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა

1. თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს გამოსასწორებლად აძლევს 5 სამუშაო დღის ვადას. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში გამოსასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მას განმცხადებელს დაუბრუნებს. სასამართლო ამ პუნქტით გათვალისწინებულ განჩინებას გამოიტანს არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში.



2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ იმავე სუბიექტის მიმართ იმავე საფუძველით დაუშვებელია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება საქმეზე ახალი გარემოებების აღმოჩენისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

4. თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო [ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით](#) განსაზღვრულ ვადაში მოვალის მიერ [ამავე კანონის მე-16 მუხლით](#) გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

5. სასამართლო მოვალის კრედიტორის ინფორმირებისათვის ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული განჩინების გამოტანიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ელექტრონულ სისტემაში აქვეყნებს:

ა) განჩინებით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მოვალის კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმავე მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების დაწყებისა და მოვალის ქონებიდან მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის გზით.

6. (ამოღებულია – [29.06.2012, №6604](#)).

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორს, რომელიც დაინტერესებულია თავისი მოთხოვნის ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოვალის ქონებიდან დაკმაყოფილებით, შეუძლია სასამართლოში ამ კანონით დადგენილი წესით შეიტანოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება [ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ვ“ ქვეპუნქტებითა და მე-2 პუნქტით](#) განსაზღვრული შეზღუდვები.

9. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორი ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებას არ შეიტანს სასამართლოში, სასამართლო მოვალეს გაკოტრებულად აცხადებს, რაც მოვალის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. სასამართლო ამ ინფორმაციას არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოვალის ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. თუ სასამართლოს ეჭვი შეეპარა მოვალის [ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით](#) გათვალისწინებული მითითებისა და მტკიცებულების ნამდვილობაში ან მიიჩნია, რომ მოვალის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ვერ ადასტურებს მოვალის მითითებას, რომ გაკოტრების დაწყების შემთხვევაში იგი თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, სასამართლო უფლებამოსილია [ამ კანონის მე-19 მუხლით](#) დადგენილი წესით გამოიტანოს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე.

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6388 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 – ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 – ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 – ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 – ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 – ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 21. განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით:

ა) ინიშნება მეურვე;

ბ) განისაზღვრება კრედიტორთა კრების დღე (განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა კრების დღემდე შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 30 დღისა და არა უმეტეს 40 დღისა).

2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან:

ა) მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;

ბ) ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძველის მითითებით;

გ) ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება მალფუჭებადი ნივთის მიმართ ხორციელდება) და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა სამეურვეო ქონებაში მიიმართება;

დ) იკრძალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების,



პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა;

ე) საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები;

ვ) მიმდინარე სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სასესხო ვალდებულების აღება შესაძლებელია მხარეთა მიერ დამატებითი ნების გამოვლენის საფუძველზე, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით;

ზ) გრძელდება მოვალის საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდება და ამ საქონლის/მომსახურების მოვალისთვის მიმწოდებელ პირს ეკრძალება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის საფუძველით იმ ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც ითვალისწინებს მოვალის სასარგებლოდ მისი საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდების დაწყებას ან/და გაგრძელებას, თუ მოვალე ასრულებს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს. აღნიშნულ პირს ხელშეკრულების ან საქონლის/მომსახურების მიწოდების შეწყვეტა შეუძლია მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ ამ პირის მიმართ არ შეასრულა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულება და მისი შეუსრულებლობიდან გასულია 14 სამუშაო დღეზე მეტი.

2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხმობა მიიღება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესში მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ.414](#)

[საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5551 - ვებგვერდი, 29.12.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №760 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 22. მოვალის ინფორმირება

1. ამ კანონის მე-14 მუხლში (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა) აღნიშნული პირები ვალდებული არიან გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე მოვალეს წერილობით აცნობონ მისი სასამართლოში შეტანის თარიღი, სასამართლოს დასახელება, დავის საგანი და მოცულობა.

2. სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოვალეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანისა და ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების თაობაზე. ამ კანონის მე-14 მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლომ მოვალეს დაუყოვნებლივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე-75-ე მუხლებით დადგენილი წესით უნდა გაუგზავნოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, უნდა აცნობოს ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების თაობაზე და განუსაზღვროს მათი ჩაბარებიდან 5-დღიანი ვადა თავისი პოზიციის წარმოსადგენად. თუ ამ პუნქტით დადგენილი პროცედურების შესასრულებლად ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებისთვის განსაზღვრული 5-დღიანი ვადა საკმარისი არ არის, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების ვადის არაუმეტეს 10 დღით გაგრძელების თაობაზე. თუ, ამ ვადის გაგრძელების მიუხედავად, მოვალეს ვერ ჩაჰბარდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, ან თუ მისი პოზიცია წარმოდგენილი არ არის, სასამართლო მოვალის პოზიციის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე.

3. მოვალე ვალდებულია დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების განხილვის პროცესში.

4. (ამოღებულია – [29.06.2012, №6604](#)).

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)



[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №760 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 23. მოვალის არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგი

სასამართლოში მოვალის არასაპატიო მიზეზით ორჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 24. მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს მეურვეს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ აგრეთვე კრედიტორებს.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა იწვევს წარდგენაზე ვალდებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 25. სასამართლოს განჩინების გამოქვეყნების ვალდებულება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინება სასამართლომ გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა უნდა გამოაქვეყნოს ელექტრონულ სისტემაში. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს განჩინების დამატებით ბეჭდვით ორგანოში, მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივ ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში, გამოქვეყნება.

[საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4948 - ვებგვერდი, 13.07.2011წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 26. მეურვე

1. მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო), რომელსაც სასამართლო გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა ელექტრონული სისტემის მეშვეობით უგზავნის განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე და აცნობებს მეურვედ მისი დანიშვნის შესახებ.

2. მეურვის უფლება-მოვალეობებია:

ა) განახორციელოს კონტროლი საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში;

ა¹) (ამოღებულია – [24.06.2011, №4948](#));

ბ) განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები;

გ) მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ და ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს იგი სასამართლოსა და მომრიგებელ საბჭოს;

დ) მოამზადოს და ორგანიზაციულად უზრუნველყოს კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტის სხდომა თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში;

ე) მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოსა და მომრიგებელ საბჭოს ინფორმაცია გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცედურების შესახებ;



ვ) შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან;

ზ) განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან; ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლო ნებართვას გასცემს განჩინების ფორმით;

თ) დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისა და ელექტრონული სისტემის გამოყენების ვალდებულების შესახებ;

ი) თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად დადოს ხელშეკრულებები და ისარგებლოს მესამე პირების მომსახურებით;

კ) კრედიტორთა პირველ კრებამდე მოიძიოს მოვალის ქონება; აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში განათავსოს;

ლ) მოამზადოს დასკვნა მოვალის მოსაძიებელი ქონების შესახებ, რომლის არსებობაც დგინდება დოკუმენტური საფუძველით, აგრეთვე ამ ქონების მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ; ეს დასკვნა ელექტრონულ სისტემაში განათავსოს და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კრედიტორთა კრებას წარუდგინოს;

მ) მოამზადოს დასკვნა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5³ პუნქტებით გათვალისწინებულ მოვალის ქონებაზე დავის დაწყების, გაგრძელების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ; ეს დასკვნა ელექტრონულ სისტემაში განათავსოს და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კრედიტორთა კრებას წარუდგინოს;

ნ) კრედიტორებს მიაწოდოს ამ კანონის 31¹ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია და იგი ელექტრონულ სისტემაში განათავსოს.

3. მეურვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. მომსახურების საფასური ანაზღაურდება სამეურვეო ქონებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მეურვის მიერ გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის ინიციატორი ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

4. მეურვეს უფლებამოსილება უწყდება ამ კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ კრედიტორთა გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებისთანავე.

4¹. მეურვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

5. კრედიტორს ან მოვალეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს მოტივირებული და არგუმენტირებული შუამდგომლობით მეურვის წარმომადგენლის აცილების შესახებ. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს კრედიტორის ან მოვალის მიერ მეურვის წარმომადგენლის აცილების შესახებ განცხადების შეტანიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. (ამოღებულია – 17.06.2011, №4828)

საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267

საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2981 - სსმ I, №24, 10.05.2010 წ., მუხ.147

საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4828 - ვებგვერდი, 28.06.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4948 - ვებგვერდი, 13.07.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - ვებგვერდი, 16.01.2012წ.

საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.

საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.

საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №760 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.

მუხლი 27. კრედიტორთა კრება

1. კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე.

2. კრედიტორთა კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით. კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაცია, კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებები და ოქმები არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

3. კრედიტორთა რიგგარეშე კრების ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოწვევის უფლება აქვთ მეურვეს, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, მოვალეს. რიგგარეშე კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ შეტყობინება სასამართლომ უნდა განათავსოს ელექტრონულ სისტემაში რიგგარეშე კრების მოწვევის თაობაზე მოთხოვნის მიღებისთანავე. რიგგარეშე კრება უნდა გაიმართოს მოთხოვნის წარდგენიდან მე-5 დღეს.



4. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 51%.

5. კრედიტორთა კრება ამ კანონით დადგენილი წესით განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- ა) მომრიგებელი საბჭოს წევრის დანიშვნის შესახებ;
- ბ) გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ;
- გ) კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი შემადგენლობის, უფლებამოსილების ფარგლებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ;
- დ) მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვა საკითხების შესახებ;
- ე) ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული მოვალის მოსაძიებელი ქონების მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ;

ვ) არის თუ არა სადავო ქონება ან ქონება, რომელიც შეიძლება გახდეს დავის საგანი, კრედიტორთა ინტერესის საგანი [ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის](#) შესაბამისად მეურვის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. თუ კრედიტორთა კრება განიხილავს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს, გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემის უფლება არ აქვთ შემდეგ კრედიტორებს:

- ა) კრედიტორს, რომელიც თავად წარმოადგენს მოვალის ქონებაზე მოდავე მხარეს;
 - ბ) კრედიტორს, რომელიც წარმოადგენს მოვალის ქონებაზე მოდავე მხარესთან დაკავშირებულ პირს.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა კრედიტორმა კრედიტორთა კრებაზე უნდა განაცხადოს იმის შესახებ, რომ ის წარმოადგენს მოვალის ქონებაზე მოდავე მხარესთან დაკავშირებულ პირს.

8. კრედიტორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მასზე წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

9. კრედიტორთა ხმების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით: 1 ლარის მოთხოვნა – 1 ხმა (დამრგვალება ხდება უმცირესისაკენ).

10. თუ კრედიტორთა კრება არ შედგა, ან კრება გადაწყვეტილება უნაროა, ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, 7 დღის ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით, იმავე დღის წესრიგით მოიწვევა კრედიტორთა მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანი იქნება მასზე წარმოდგენილ ხმათა რაოდენობის მიუხედავად.

11. თუ კრედიტორთა მეორე კრება არ შედგა, ან მან ვერ მიიღო გადაწყვეტილება, კრების ჩატარების თარიღის შესახებ გადაწყვეტილებას გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, იღებს სასამართლო და ამ გადაწყვეტილებას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.

12. კრედიტორთა კრების მოწვევა აუცილებელი არ არის, თუ ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი კრედიტორი ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. აღნიშნული თანხმობა კრედიტორთა კრების ოქმის ტოლფასია და კრების გადაწყვეტილებად ითვლება.

13. კრედიტორთა კრების ხანგრძლივობა არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა, გარდა ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხმათა სულ მცირე 51%-ზე მეტის მქონე კრედიტორების არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 4 დღით.

14. ყველა უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომლებიც კანონით დადგენილ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენენ სასამართლოს თავიანთ მოთხოვნებს მოვალის მიმართ, უფლებამოსილია დაესწროს კრედიტორთა კრებას. კრედიტორთა კრებაზე დასწრების უფლება აქვს მოვალესაც.

15. კრედიტორთა პირველ კრებაზე მეურვე უნდა წარდგეს მოხსენებით მოვალის ქონების, მათ შორის, მოვალის მოსაძიებელი ქონების შესახებ, რომლის არსებობაც დგინდება დოკუმენტური საფუძველით, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების, ასევე უზრუნველყოფილი კრედიტორების შესახებ.

16. თუ კრედიტორთა პირველმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მოვალის მოსაძიებელი ქონების მოძიების შეწყვეტის შესახებ, მეურვე წყვეტს ამ ქონების მოძიებას.

17. თუ კრედიტორთა პირველმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მოვალის მოსაძიებელი ქონების მოძიების გაგრძელების შესახებ, მეურვემ ქონება უნდა მოიძიოს 15 დღის ვადაში და შედეგი უნდა წარუდგინოს კრედიტორთა კრებას. თუ მეურვემ/გაკოტრების მმართველმა მოსაძიებელი ქონება ვერ მოიძია დადგენილ ვადაში, იგი წყვეტს ამ ქონების მოძიებას.

18. ამ მუხლის მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომა არ ზღუდავს კრედიტორის უფლებას, თავად მოიძიოს მოვალის მოსაძიებელი ქონება და ამ ქონების მოძიების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს მოძიებული ქონების სამეურვეო ქონების ნუსხაში შეტანის მოთხოვნით აუქციონის გამოცხადებამდე 7 დღით ადრე.

19. ქონებასთან დაკავშირებული საკუთრების უფლების დაუდგენლობის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ამ ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება და მას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში. ეს განჩინება არის მოვალის მფლობელობაში არსებული ქონების რეგისტრაციის საფუძველი, მათ შორის, ქონების დაუზუსტებელი მახასიათებლებით რეგისტრაციის საფუძველი.

20. კრედიტორთა კრებაზე დამსწრე კრედიტორებსა და მოვალეს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მეურვის მოხსენებაზე გამოთქვან შენიშვნები და დასვან შეკითხვები.

21. მოვალის მიერ [ამ კანონის მე-17 მუხლის](#) შესაბამისად გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით გაკოტრების საქმის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში კრედიტორთა პირველ კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

22. კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 დღით.

23. კრედიტორთა პირველ კრებაზე მოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები და იქმნება მომრიგებელი საბჭო.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 – ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 – ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 – ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 – ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 – ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 28. კრედიტორთა კომიტეტი

1. კრედიტორთა კომიტეტი არის ფაკულტატური ორგანო.

2. კრედიტორთა კომიტეტის შექმნის, მისი წევრების არჩევის, გათავისუფლების და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესს, წევრთა რაოდენობასა და უფლებამოსილების ფარგლებს კრედიტორთა კრება განსაზღვრავს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3. კრედიტორთა კომიტეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თაობაზე ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 – ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 – ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 – ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 – ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 – ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 29. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება

1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში კრედიტორებმა მოვალის მიმართ არსებული თავიანთი მოთხოვნები ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს. მოთხოვნებს ასევე ელექტრონულად უნდა ერთოდეს მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები. მეურვე უფლებამოსილია პირს, რომელსაც აქვს რაიმე პრეტენზია ან მოთხოვნა მოვალის მიმართ (სავარაუდო კრედიტორს), მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები მის მიერ წარდგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

2. კრედიტორთა პირველ კრებაზე ყოველი წარდგენილი მოთხოვნა მოწმდება მისი მოცულობის განსაზღვრისა და დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. კრედიტორთა მოთხოვნები კრებაზე განიხილება სათითაოდ და თანამიმდევრულად.

3. მოსამართლე უსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოაქვს განჩინება კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ. ეს განჩინება ელექტრონულ სისტემაში განთავსდება. ამ განჩინების გასაჩივრების უფლება აქვს როგორც იმ კრედიტორს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია იგი, ისე ნებისმიერ სხვა კრედიტორს.

4. კრედიტორი, რომელსაც აქვს როგორც უზრუნველყოფილი, ისე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, განიხილება, როგორც ორი კრედიტორი (კრედიტორი, რომელიც ერთდროულად არის ახალი კრედიტორი, უზრუნველყოფილი კრედიტორი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორი ან ნებისმიერი ორი ამ სამიდან, განიხილება შესაბამისად, როგორც სამი ან ორი კრედიტორი).

5. უცხოელ კრედიტორს მოთხოვნების წარსადგენად შეიძლება განესაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა. უცხოელი კრედიტორის მოთხოვნები განიხილება იმავე წესით, როგორც სხვა მოთხოვნები.

6. ყველა მოთხოვნა აისახება ეროვნულ ვალუტაში.

7. კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების საფუძველზე მოსამართლე შეადგენს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს და მას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.

8. კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) კრედიტორის (კრედიტორების) გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ კრედიტორი იურიდიული პირია – მისი სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა;

გ) კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა;

დ) ვალის მოცულობისა და კრედიტორთა რიგითობის ცვლილება.

9. კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრს ხელს აწერს მოსამართლე. სასამართლო ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში, 5 დღის ვადაში გადასცეს კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის დამოწმებული ასლი მეურვეს, მომრიგებელი საბჭოს წევრებს, მოვალეს, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველს.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 – სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 – ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 – ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)



[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №760 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 30. კრედიტორის მიერ დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების წესი

1. კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი მოთხოვნის აღიარების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო მხარეთა მოსმენის შედეგად და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

2. დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნის მფლობელი პირის მოთხოვნა მისი აღიარების შემთხვევაში დაკმაყოფილდება [ამ კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით](#) გათვალისწინებული რიგითობით და იმ პროპორციულობით, როგორც დაკმაყოფილდა შესატყვისი რიგის სხვა კრედიტორთა მოთხოვნები.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 31. კრედიტორის მიერ წარდგენილი მოთხოვნის აღიარების შედეგები

კრედიტორის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი მოთხოვნის აღიარებით დგინდება კრედიტორის უფლება, დაესწროს კრედიტორთა კრებას, მისი მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და განახორციელოს კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 31¹. კრედიტორთა ინფორმირება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში

1. მეურვე ვალდებულია კრედიტორთა პირველ კრებაზე მიაწოდოს კრედიტორებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ფინანსური ინფორმაცია საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების, მისი ქონებრივი მდგომარეობის, მიმდინარე სასამართლო დავების, სამეურვეო ქონების შემადგენლობისა და ღირებულების, მის მართვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებების თაობაზე, აგრეთვე მოვალესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ფინანსური ინფორმაცია.

2. როგორც მეურვე, ისე გაკოტრების მმართველი/რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია კრედიტორთა ყოველ მომდევნო კრებაზე შეატყობინოს კრედიტორებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების ან სამეურვეო ქონების მართვისა და რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი ახალი გარემოებების თაობაზე, აგრეთვე მიაწოდოს მათ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კრედიტორთა ინტერესებზე.

3. კრედიტორს ან/და კრედიტორთა კრებას შეუძლია გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ნებისმიერ დროს მოითხოვოს ფინანსური ინფორმაცია მოვალის შესახებ.

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 32. მომრიგებელი საბჭო

1. მომრიგებელი საბჭო არის კოლექტიური ორგანო, რომელიც იქმნება პარიტეტულ საწყისებზე და არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს. მოვალის რეაბილიტაციის შემთხვევაში მომრიგებელი საბჭო ასევე განიხილავს რეაბილიტაციის გეგმას.

2. მომრიგებელი საბჭო იქმნება კრედიტორთა პირველ კრებაზე, კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების დასრულებისთანავე.

3. მომრიგებელი საბჭო შედგება სამი წევრისაგან.

4. მომრიგებელი საბჭოს ერთ წევრს ნიშნავს მოვალე, ხოლო მეორე წევრს ირჩევს კრედიტორთა კრება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ კრედიტორთა კრება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მომრიგებელი საბჭოს მეორე წევრის არჩევის თაობაზე, მაშინ მომრიგებელი საბჭოს მეორე წევრს დანიშნავს მოსამართლე კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებისთანავე.

5. მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრი შეირჩევა მოვალისა და კრედიტორების (ან მოსამართლის) მიერ



გამწესებულ მომრიგებელთა შეთანხმებით.

6. თუ მომრიგებლები ვერ შეთანხმდებიან მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრის დანიშვნის თაობაზე, მაშინ მომრიგებელი საბჭოს მესამე წევრს დანიშნავს მოსამართლე კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებისთანავე.

7. მოვალემ და კრედიტორებმა მომრიგებლად შეიძლება შესაბამისად დანიშნონ და აირჩიონ ნებისმიერი ქმედუნარიანი, მხარეებისაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და შესაბამისი უმაღლესი განათლებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი. მომრიგებლად დასახელებამდე აუცილებელია პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

8. მომრიგებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. მომრიგებლებს უფლება არა აქვთ თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან.

9. მომრიგებელი საბჭოს უფლებამოსილება წყდება გაკოტრების თაობაზე ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ხოლო რეაბილიტაციის შემთხვევაში – რეაბილიტაციის გეგმის განხილვისა და მოწონებისთანავე.

10. მომრიგებელი საბჭოს შექმნის, შემადგენლობის, უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ინფორმაცია, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 33. მოვალის გადახდისუუნარობის საკითხის არსებითი გადაწყვეტა

1. მომრიგებელი საბჭო მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს სწავლობს შექმნიდან 15 დღის განმავლობაში.

2. მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს და ახსნა-განმარტებები ჩამოართვას მოვალეს, კრედიტორებს და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პირს.

3. მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) გაკოტრების შესახებ;

ბ) რეაბილიტაციის შესახებ;

გ) გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

3¹. მომრიგებელი საბჭოს მიერ გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, თუ მოვალე განცხადებით მოითხოვს რეაბილიტაციას და წარადგენს რეაბილიტაციის გეგმას, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს მოტივირებული განჩინება მოვალის მიერ წარდგენილი გეგმის მიხედვით რეაბილიტაციის დაწყების თაობაზე, თუკი ამით უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული მიზნის გონივრულ ვადაში მიღწევა. ეს განჩინება სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი საკითხის კრედიტორთა კრებაზე განხილვის შემდეგ.

3². სასამართლო ამ მუხლის 3¹ პუნქტით გათვალისწინებული მოტივირებული განჩინების გამოტანიდან 10 დღის ვადაში იწვევს კრედიტორთა კრებას. კრედიტორთა კრებამ მოწვევიდან 2 კვირის ვადაში უნდა აირჩიოს რეაბილიტაციის მმართველი. თუ ამ ვადაში რეაბილიტაციის მმართველი არ აირჩევა, მას სასამართლო ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო განჩინებით განსაზღვრავს რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლებს, წყვეტს მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს. რეაბილიტაციის მმართველის პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

4. თუ მომრიგებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ იმავე სუბიექტის მიმართ იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება საქმეზე ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში.

6. მომრიგებელი საბჭოს ყველა გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სამივე მომრიგებელი.

7. (ამოღებულია – [29.06.2012, №6604](#)).

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668– ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)



[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 34. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტა

1. მომრიგებელი საბჭო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძველი ან ეს საფუძველი აღმოიფხვრა განცხადების შეტანის შემდეგ ან მოვალეს შეუძლია ვადაგადაცილებული ვალი დაფაროს სხვა კრედიტორებისათვის ზიანის მიუყენებლად.

2. მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ელექტრონული სისტემის მეშვეობით ეგზავნებათ კრედიტორებსა და მოვალეს.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 35. კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებები

1. კრედიტორისათვის ზიანის მომტანად ჩაითვლება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) მოვალის ქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას და კონკრეტულ კრედიტორს უპირატესობა მიანიჭა იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით;

ბ) მოვალის მიერ ისეთი გარიგების დადება ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება (მათ შორის, სამეურვეო ქონების ან მისი ნაწილის გაჩუქება ანდა საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გასხვისება, ვალის პატიება და სხვა).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქმედებებმა მოვალე გადახდისუუნარობამდე მიიყვანა, ან თუ მოვალე უკვე გადახდისუუნარო იყო და სარგებლის მიმღებმა ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა.

3. თუ სარგებლის მიმღები კრედიტორი ან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარიგების კონტრაქტის არის მოვალესთან დაკავშირებული პირი ან მოვალის ნათესავი, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადა 2 წელია.

4. კრედიტორს ან გაკოტრების მმართველს/რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილად ცნობა ან/და ზიანის ანაზღაურება.

[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

თავი V გაკოტრება

მუხლი 36. გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება

1. გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან. სასამართლოს განჩინება გაკოტრების შესახებ ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას [ამ კანონის მე-17 მუხლით](#) დადგენილი წესით.

მუხლი 36¹. საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება

1. მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს განვლილი საგადასახადო პერიოდების წარუდგენელი და მიმდინარე საგადასახადო პერიოდების საგადასახადო დეკლარაციები, ამასთანავე, წარუდგინოს საგადასახადო დეკლარაციებში შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში შეიტანოს მათში ცვლილება ან/და დამატება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს გაკოტრების პროცესში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება უნარჩუნდება მხოლოდ ამ ნაწილში.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას [საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის](#) შესაბამისად, რაც მას არ ათავისუფლებს ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულებისაგან.

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6395 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)



მუხლი 37. გაკოტრების მმართველი

1. გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი. გაკოტრების მმართველი აღჭურვილია „[მეწარმეთა შესახებ](#)“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით. გაკოტრების პროცესში მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები უჩერდება, გარდა [ამ კანონის 36¹- მუხლით](#) გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. გაკოტრების მმართველს ირჩევენ კრედიტორები გაკოტრების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში. თუ გაკოტრების მმართველი კრედიტორთა კრებაზე ვერ აირჩევა ან კრედიტორები არ წარადგენენ გაკოტრების მმართველის კანდიდატურებს, გაკოტრების მმართველად სასამართლო ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. გაკოტრების მმართველის არჩევის/დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

3. გაკოტრების მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. გაკოტრების მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. გაკოტრების მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.

4. გაკოტრების მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

4. გაკოტრების მმართველი ვალდებული არ არის, მოიძიოს მოვალის ქონება, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. გაკოტრების მმართველად აღსრულების ეროვნული ბიუროს დანიშვნის შემთხვევაში გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. მომსახურების საფასური ანაზღაურდება სამეურვეო ქონებიდან.

6. კრედიტორთა მიერ არჩეული გაკოტრების მმართველის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ერთ-ერთი კრედიტორის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი განცხადების საფუძველზე განიხილოს გაკოტრების მმართველის შეცვლის საკითხი. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გაკოტრების მმართველად ნიშნავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და აღნიშნულ გადაწყვეტილებას განათავსებს ელექტრონულ სისტემაში. ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს ამ კანონით განსაზღვრული წესით.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2981 - სსმ I, №24, 10.05.2010 წ., მუხ.147](#)

[საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4828 - ვებგვერდი, 28.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 – ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6395 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 38. აუქციონის ჩატარების წესი და პირობები

1. სამეურვეო ქონება იყიდება აუქციონის გზით, გარდა ფინანსური გირაოს საგნისა, რომლის რეალიზაცია ხდება „[საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ](#)“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აუქციონზე სამეურვეო ქონების გაყიდვას კრედიტორთა ინტერესების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

3. აუქციონი ტარდება იმ წესითა და პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, გარდა ამ კანონით დადგენილი სპეციალური წესისა.

4. აუქციონის ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო) არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით უფრო მცირე დრო არ არის დადგენილი.

5. თუ გაკოტრების მმართველი არ არის აღსრულების ეროვნული ბიურო, კრედიტორთა მიერ შერჩეული გაკოტრების მმართველი დანიშნვიდან 25 დღის ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართავს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით და წარუდგენს სასამართლოს მიერ დამოწმებულ სააუქციონო დოკუმენტაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას მოვალის, კრედიტორებისა და მათი მოთხოვნების, სარეალიზაციო ქონების და მისი საბაზრო ღირებულების შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, თუ ეს აუცილებელია სააუქციონო მომსახურების გაწევისათვის.

6. აღსრულების ეროვნული ბიუროს სააუქციონო მომსახურების საფასურის ოდენობა ა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ მომსახურების საფასური ანაზღაურდება სამეურვეო ქონებიდან.



7. დაუშვებელია აუქციონში მონაწილე პირთა წრის შეზღუდვა ან სხვა შეზღუდვების დაწესება, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

8. აუქციონის გამოცხადების შემდეგ ნებისმიერი პირი უფლებამოსილია აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიმართოს აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

9. პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის არჩევიდან ან დანიშნვიდან არა უმეტეს 40 დღის ვადაში, სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით გაყიდვის მიზნით. დაუშვებელია პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ამ ქონების საბაზრო ღირებულების 50%-ით. აღსრულების ეროვნული ბიურო, მის მიერ გაკოტრების მმართველის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, უფლებამოსილია თავად შეაფასოს სამეურვეო ქონება და განსაზღვროს მისი საბაზრო ღირებულება ან მოიწვიოს კომპეტენტური პირი ამ ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

10. თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია და ქონების საწყისი ფასი კრედიტორთა მოთხოვნებზე ნაკლებია, ნებისმიერ კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც ფარავს, მაგრამ არ აღემატება პირველ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების საწყისი ფასი, უფლება აქვს, პირველი აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმართოს გაკოტრების მმართველს ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია დაფაროს წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნები და მიმართვას ასევე ელექტრონულად დაურთოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე წინა და იმავე რიგების კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის მიზნით თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ერთზე მეტი მიმართვის არსებობისას ქონების საკუთრებაში მიღების უფლება წარმოეშობა იმ კრედიტორს, რომლის მიმართვაც, ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციით, უფრო ადრეა სისტემაში რეგისტრირებული.

11. თუ პირველ აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული წესით არ მოხდა ქონების საკუთრებაში გადაცემა, პირველი აუქციონის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის და არა უმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მეორე აუქციონი. მეორე აუქციონი ტარდება იმავე წესით, რა წესითაც ჩატარდა პირველი აუქციონი, და მიეთითება, რომ აუქციონი ტარდება მეორედ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთიანი კომპლექსის სახით, ისე ნაწილ-ნაწილ. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ რეალიზაციის ფორმის შესახებ გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღება შეუძლიათ კრედიტორებს პირველი აუქციონის დასრულებიდან 7 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში კრედიტორები თავად განსაზღვრავენ სამეურვეო ქონების თითოეული ლოტის საწყის ფასს. თუ კრედიტორები დათქმულ ვადაში ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ საკითხზე, მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება გაიყიდება იმავე წესით, რა წესითაც ჩატარდა პირველი აუქციონი. მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ამ ქონების საბაზრო ღირებულების 25%-ს.

11¹. თუ მეორე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან მეორე აუქციონის ჩატარების შემდეგ დარჩა სამეურვეო ქონების ნაწილი, მეორე აუქციონის ჩატარებიდან არა უმეტეს 40 დღის ვადაში ტარდება მესამე აუქციონი. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაცია ის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიურო. მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს.

11². თუ მესამე აუქციონზე სამეურვეო ქონება ვერ გაიყიდა ან მესამე აუქციონის ჩატარების შემდეგ დარჩა სამეურვეო ქონების ნაწილი, აღსრულების ეროვნული ბიურო ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნებს ამ ქონების კრედიტორებისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემის შეთავაზებას. ქონება საკუთრებაში გადაეცემათ იმ კრედიტორებს, რომლებიც შეთავაზების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ასევე ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგინენ განცხადებას ამ ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ. კრედიტორებს ქონება ნატურით გადაეცემათ საბაზრო ღირებულებით, [ამ კანონის მე-40 მუხლით](#) დადგენილი რიგითობის შესაბამისად. საერთო საკუთრებაში კრედიტორების წილი განისაზღვრება მათი მოთხოვნების შესაბამისად. იმ კრედიტორების წილი, რომლებიც არ გამოთქვამენ ქონების საკუთრებაში მიღების სურვილს, თანაბრად გადანაწილდება სხვა კრედიტორებზე. თუ დადგენილ ვადაში ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ განცხადებას არც ერთი კრედიტორი არ წარადგენს, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

12. (ამოღებულია – [05.06.2012, №6395](#)).

13. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის სამეურვეო ქონების ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით შემძენი (შემძენები) სურვილისამებრ შესაძლოა დარეგისტრირდეს ამ საწარმოს ერთადერთ პარტნიორად. საკუთრების უფლების გადასვლის შედეგად საწარმო ახალ შემძენზე დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი გადადის.

14. თუ რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული სამეურვეო ქონება რეგისტრირებული არ არის მარეგისტრირებელ ორგანოში, გაკოტრების მმართველი აუქციონის გამოცხადებამდე მიმართავს მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ქონების რეგისტრაციის მიზნით. რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ სამეურვეო ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების დაუდგენლობის შემთხვევაში გაკოტრების მმართველი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმართავს სასამართლოს ქონებაზე მოვალის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არის მოვალის მფლობელობაში არსებული ქონების რეგისტრაციის საფუძველი, მათ შორის, ქონების დაუზუსტებელი მახასიათებლებით რეგისტრაციის საფუძველი. ეს განჩინება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

15. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს და შეუძლებელია საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა ან აუქციონის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარება გამოიწვევს გასაყიდი ქონების ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას, აუქციონის ჩატარების ვადის გონივრული შემცირება და სამეურვეო ქონების დაჩქარებული წესით გაყიდვა შესაძლებელია სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, პოტენციური მყიდველების ინფორმირებისა და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის პირობით. ეს გადაწყვეტილება განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

16. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის დასრულებიდან



10 დღის ვადაში, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

17. (ამოღებულია – [05.06.2012, №6395](#)).

18. თუ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი არ გადაიხადა აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, იგი კარგავს აუქციონის ჩატარების დღეს გარანტიის სახით წარმოდგენილ თანხას, რომელიც მიეკცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას ჩატარებული აუქციონის შედეგის გაუქმების შესახებ და მისი გამოცემიდან 10 დღის ვადაში ატარებს ხელახალ აუქციონს, რომელიც არ ჩაითვლება განმეორებით აუქციონად.

19. შემდგომ, მათ შორის, ამ მუხლით დადგენილი წესით ქონების ნატურით მიმღების, საკუთრებაში ქონების გადასვლის შედეგად უქმდება მასზე არსებული ყველა ყადაღა, სანივთო და ვალდებულებითი უფლება.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4828 - ვებგვერდი, 28.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668– ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6307– ვებგვერდი, 12.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6395 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 39. უზრუნველყოფილ კრედიტორთა განსაკუთრებული უფლებამოსილება

1. უზრუნველყოფილი კრედიტორები ერთხმად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით იღებენ გადაწყვეტილებას კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების შემდეგ მოვალის მიერ ახალი სესხის წარმომოსხის, მოვალის ქონების დატვირთვის, თავდებობის შესახებ. უზრუნველყოფილ კრედიტორთა არარსებობის შემთხვევაში მათ უფლებამოსილებებს ახორციელებს კრედიტორთა კრება, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

2. უზრუნველყოფილი კრედიტორები სარგებლობენ კრედიტორთა მიერ მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერების უფლებით:

ა) გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ;

ბ) რეაბილიტაციის ვადის განსაზღვრის შესახებ.

3. უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ ამ უფლების გამოყენებისას გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდება და საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდება. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668– ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 40. კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა

1. კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება შემდეგი რიგითობით:

ა) პირველი რიგი – საპროცესო ხარჯები და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური;

ბ) მეორე რიგი – გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;

გ) მესამე რიგი – მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

დ) მეოთხე რიგი – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, [საქართველოს საგადასახადო კოდექსით](#) დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

ე) მეხუთე რიგი – საგადასახადო დავალიანებები, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ვ) მეექვსე რიგი – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;

ზ) მეშვიდე რიგი – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

2. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ კრედიტორთა შეთანხმებით (ერთხმად) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამონაკლისია [ამ კანონის 46-ე მუხლის 5¹-პუნქტით](#) გათვალისწინებული შემთხვევა.

3. თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.



4. გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია კრედიტორთა მოთხოვნები დაფაროს ერთჯერადი ან ნაწილ-ნაწილ გადახდით.

4¹. გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია კრედიტორთა მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოთქმული წინასწარი თანხმობით, სამეურვეო ქონების რეალიზაციამდე ან ამ ქონების რეალიზაციის პროცესში დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები საერთო წესების დაცვით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის საკუთრებაში არსებული ან/და სამეურვეო ქონების მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ რეალიზაციით მიღებული და აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე განთავსებული თანხებიდან. ამ შემთხვევაში უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული საპროცესო ხარჯები, აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური და გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება.

5. ნებისმიერი რიგის კრედიტორს [ამ კანონის 29-ე მუხლით](#) დადგენილ მოთხოვნებზე ნაწილობრივ უარის თქმის სანაცვლოდ უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი რიგის კრედიტორებთან შედარებით უპირატესი დაკმაყოფილება. ამისათვის საჭიროა მისი რიგის ყველა კრედიტორის თანხმობა. მოთხოვნის წარდგენა და თანხმობის მიღება ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ კრედიტორს [ამ კანონის 29-ე მუხლით](#) დადგენილ მოთხოვნებზე ნაწილობრივ უარის თქმის სანაცვლოდ უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი რიგის წინა კრედიტორთა რიგში გადასვლა. ამისათვის საჭიროა წინა რიგის ყველა კრედიტორის თანხმობა. მოთხოვნის წარდგენა და თანხმობის მიღება ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

7. კრედიტორთა მიერ ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების შედეგები, აგრეთვე [ამ კანონის 46-ე მუხლის 5¹ პუნქტის](#) შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების წინსწრებით სრულად დაკმაყოფილების თაობაზე დაფიქსირდება კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში.

8. ამ მუხლით განსაზღვრული რიგითობა, მოთხოვნები და პროცედურები ვრცელდება გაკოტრების საქმის წარმოებაზე და რეაბილიტაციის პროცესზე.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა არ ვრცელდება იმ კრედიტორზე, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია ფინანსური გირაოს მეშვეობით. ფინანსური გირაოს მოგირავენს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება [„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4828 - ვებგვერდი, 28.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6307 - ვებგვერდი, 12.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6395 - ვებგვერდი, 19.06.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 41. უზრუნველყოფილ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების წესი

თუ მხარეთა შორის იპოთეკის (გირაოს) ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვისას, თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე მეტია, ასეთი კრედიტორი დაკმაყოფილდება მხოლოდ თავისი მოთხოვნის მოცულობით, ხოლო ნაშთი ჩაითვლება საერთო მოთხოვნებში, [ამ კანონის მე-40 მუხლის](#) თანახმად;

ბ) თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთი კრედიტორი დაკმაყოფილდება მხოლოდ ამ რეალიზაციით მიღებული თანხის მოცულობით, ხოლო დარჩენილი ვალი ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებში, [ამ კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის](#) თანახმად.

მუხლი 42. გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება

1. გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის ამ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე.

2. სამეურვეო ქონების რეალიზაციის შემდეგ გაკოტრების მმართველი ადგენს მოვალის გაკოტრების ანგარიშს, რომელსაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენს კრედიტორებსა და სასამართლოს.

3. გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.

4. სამეურვეო ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა განაწილდება გაკოტრების პროცესის



დასრულებისთანავე. საწარმოს გაკოტრების შემდეგ დარჩენილი გაუნაწილებელი თანხა მიექცევა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში.

5. თუ საწარმოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება ქონება, რომელიც ეკუთვნოდა გაუქმებულ საწარმოს, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ინფორმაციას აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში. კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ დაკმაყოფილებულა, უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს ასეთი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია. აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს [ამ კანონის 38-ე მუხლით](#) განსაზღვრული წესით ქონების რეალიზაციას და ქონების რეალიზაციიდან მიღებულ თანხას ანაწილებს იმ კრედიტორთა შორის, რომლებმაც მას დადგენილ ვადაში მიმართეს, მათი მოთხოვნების რიგითობის გათვალისწინებით. თუ კრედიტორმა დადგენილ ვადაში არ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ან აუქციონზე ქონება არ გაიყიდა, ან კრედიტორმა უარი თქვა ქონების ნატურით საკუთრებაში მიღებაზე, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4828 - ვებგვერდი, 28.06.2011წ.](#)

[საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - ვებგვერდი, 16.01.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

თავი VI რეაბილიტაცია

მუხლი 43. რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადა

1. რეაბილიტაციის გეგმის მომზადების ვადა აითვლება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ რეაბილიტაციის შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან. სასამართლოს განჩინება რეაბილიტაციის შესახებ ქვეყნდება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ კრედიტორები. იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ხმათა სულ მცირე 51%-ზე მეტის მქონე კრედიტორების მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილებით.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 44. რეაბილიტაციის მმართველი

1. რეაბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი.

2. კრედიტორები რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ რეაბილიტაციის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში. სასამართლო კრედიტორთა გადაწყვეტილებას ამტკიცებს განჩინებით, რომელსაც აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში.

3. რეაბილიტაციის მმართველი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. რეაბილიტაციის მმართველი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი (იურიდიული პირის შემთხვევაში – საქმიანი რეპუტაციის მქონე) პირი. რეაბილიტაციის მმართველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ახორციელებს იმავე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე.

4. რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება.

4. რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე თავისი უფლება-მოვალეობების შესრულების უფლება დროებით მიანიჭოს სხვა პირს იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იქნება რეაბილიტაციის გეგმით. რეაბილიტაციის მმართველის მიერ



უფლება-მოვალეობების შესრულების უფლების დროებით სხვა პირისათვის მინიჭების შემთხვევაში ეს ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

5. (ამოღებულია).

6. რეაბილიტაციის პროცესში საწარმოს კაპიტალში ახალი შენატანის განხორციელება კაპიტალის გაზრდის მიზნით დასაშვებია ამ საწარმოს შესაბამისი დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით, თუ ამაზე არსებობს რეაბილიტაციის მმართველისა და ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოთქმული წინასწარი თანხმობა. ამ გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციას ელექტრონულ სისტემაში განათავსებს რეაბილიტაციის მმართველი.

7. (ამოღებულია – 24.06.2011, №4948).

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2981 - სსმ I, №24, 10.05.2010 წ., მუხ.147](#)

[საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4948 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 45. რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენის წესი

1. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა მომზადდეს და ელექტრონული სისტემის მეშვეობით მომრიგებელ საბჭოს განსახილველად წარედგინოს [ამ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის](#) შესაბამისად განსაზღვრული პროექტის მომზადების ვადის განმავლობაში.

2. რეაბილიტაციის გეგმის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს [ამ კანონის 46-ე მუხლის](#) მოთხოვნებს.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 46. რეაბილიტაციის გეგმა

1. რეაბილიტაციის გეგმის მომზადება კრედიტორთა გადაწყვეტილებით შეიძლება დაევალოს მოვალეს, კრედიტორს ან რეაბილიტაციის მმართველს ანდა რამდენიმე მათგანს ერთდროულად. რეაბილიტაციის გეგმის მომზადებისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.

2. პირი, რომელსაც დაევალება რეაბილიტაციის გეგმის მომზადება, ვალდებულია კონსულტაციები აწარმოოს უზრუნველყოფილ კრედიტორებთან, სხვა კრედიტორებთან და მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან.

3. რეაბილიტაციის გეგმა წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით და უნდა მოიცავდეს მოვალის ფინანსური სიმძნელების გადაჭრასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი განხორციელების შემთხვევაში მოვალე დაძლევეს გადახდისუუნარობას ან მოსალოდნელ გადახდისუუნარობას.

4. რეაბილიტაციის გეგმით განისაზღვრება ვალეებზე პროცენტების დარიცხვა და გადახდა.

5. რეაბილიტაციის გეგმით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი წინადადება, რომლის თანახმად, ერთი რიგის სხვადასხვა კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადა და პირობები განსხვავებული იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იმავე რიგის ყველა კრედიტორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამონაკლისია ამ მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

5¹. რეაბილიტაციის გეგმით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს [ამ კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით](#) განსაზღვრული მეექვსე და მეშვიდე რიგის იმ მოთხოვნების (ამ პუნქტის მიზნებისათვის, შემდგომში – სოციალურ დავალიანებაზე მოთხოვნები) წინსწრებით სრულად დაკმაყოფილება (რიგგარეშედ, ნებისმიერი წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილებამდე), რომლებიც წარმოქმნილია მოვალესა და მოვალის მოსამსახურეთა ან/და ყოფილ მოსამსახურეთა შორის შრომითი ურთიერთობებიდან (სახელფასო, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების, სარჩოს, კომპენსაციის და სხვა დაკავშირებული დავალიანება) და ასახულია რეაბილიტაციის გეგმაში. ამ პუნქტის შესაბამისად სოციალურ დავალიანებაზე მოთხოვნების წინსწრებით სრულად დაკმაყოფილების თაობაზე სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავდროულად უნდა დაკმაყოფილდეს სოციალურ დავალიანებაზე მოთხოვნების თანმდევი (დაკავშირებული) მოთხოვნები შესატყვის საგადასახადო დავალიანებაზე. სოციალურ დავალიანებაზე მოთხოვნებისა და თანმდევი საგადასახადო დავალიანებაზე მოთხოვნების წინსწრებით დაკმაყოფილების თაობაზე სათანადო



გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იმავე მოცულობის მეოთხე რიგის მოთხოვნების (უზრუნველყოფილი მოთხოვნების), რომელთა დაკმაყოფილების ვადა რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულია სოციალურ დავალიანებაზე მოთხოვნების წინსწრებით სრულად დაკმაყოფილების ვადის ყველაზე ახლო პერიოდში, დაკმაყოფილების ვადა შესაბამისად გადაიწევეს მეოთხე რიგის მოთხოვნების (უზრუნველყოფილი მოთხოვნების) დაკმაყოფილების რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული ვადის ბოლოს.

6. რეაბილიტაციის გეგმის განხილვას მომრიგებელი საბჭო იწყებს რეაბილიტაციის გეგმის პროექტის წარდგენისთანავე და ასრულებს 10 დღის ვადაში. მომრიგებელი საბჭოს მიერ გეგმის მოწონების თაობაზე ინფორმაცია განთავსდება ელექტრონულ სისტემაში.

7. რეაბილიტაციის გეგმის განხილვის პროცესში მომრიგებელი საბჭო კონსულტაციებს აწარმოებს კრედიტორებთან, მოვალესთან და რეაბილიტაციის მმართველთან. კონსულტაციების დროს შესაძლებელია გეგმაში ცვლილებების შეტანა.

[საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 47. კრედიტორთა მიერ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება

1. მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილულ და მოწონებულ რეაბილიტაციის გეგმას უზრუნველყოფილი კრედიტორები ელექტრონული სისტემის მეშვეობით ამტკიცებენ მომრიგებელი საბჭოს მიერ რეაბილიტაციის გეგმის გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში. რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა.

2. თუ რომელიმე უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ეთანხმება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, დანარჩენი უზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებამოსილი არიან, ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესთავაზონ მას ერთ-ერთი შემდეგი წინადადება:

ა) უზრუნველყოფილი ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოყოფა, რეალიზაცია და ამონაგები თანხიდან დაკმაყოფილება;

ბ) ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების შესაბამისად.

3. უზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელიც ეწინააღმდეგება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, დანარჩენი უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ შეთავაზებული წინადადება.

4. თუ არც ერთი უზრუნველყოფილი კრედიტორი არ ეთანხმება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, დანარჩენი კრედიტორები უფლებამოსილი არიან, ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესთავაზონ მას ერთ-ერთი შემდეგი წინადადება:

ა) უზრუნველყოფილი ნივთების სამეურვეო ქონებიდან გამოყოფა, რეალიზაცია და ამონაგები თანხიდან დაკმაყოფილება;

ბ) ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების შესაბამისად.

5. უზრუნველყოფილი კრედიტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას, ვალდებული არიან მიიღონ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული, დანარჩენი კრედიტორების მიერ შეთავაზებული წინადადება.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)

[საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4642 - ვებგვერდი, 25.12.2015წ.](#)

[საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №184 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

მუხლი 48. რეაბილიტაციის გეგმით არასწორი ან მცდარი მონაცემების წარდგენის, ინფორმაციის დამალვის შედეგები

თუ რეაბილიტაციის გეგმით განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით წარდგენილია არასწორი ან მცდარი მონაცემები მოვალის ქონების ან/და მისი საქმიანობის შესახებ, ან დამალულია საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას: რეაბილიტაციის მმართველის შემთხვევაში – რეაბილიტაციის მმართველის გათავისუფლების შესახებ; მოვალის შემთხვევაში – მოვალის გაკოტრების შესახებ; კრედიტორის შემთხვევაში – კრედიტორის მიერ ხმის უფლების დაკარგვის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.

[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)

[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)

[საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის კანონი №2922 - ვებგვერდი, 23.12.2014წ.](#)



მუხლი 49. მოვალის ვალებისაგან გათავისუფლების ან შეცვლის ფარგლები

1. რეაბილიტაციის გეგმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან შეცვლას.
2. მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება ან შეცვლა შესაძლებელია ყველა კრედიტორის თანხმობით.
3. თუ რომელიმე კრედიტორი ეწინააღმდეგება მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან შეცვლას, დანარჩენი კრედიტორები უფლებამოსილი არიან შესთავაზონ მას ვალის გამოსყიდვა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის მონაცემების შესაბამისად.
4. კრედიტორი, რომელიც ეწინააღმდეგება მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას ან შეცვლას, ვალდებულია მიიღოს დანარჩენი კრედიტორების მიერ შეთავაზებული წინადადება.

მუხლი 50. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება

1. დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი.
 2. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას ზედამხედველობს კრედიტორთა კრება. ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად ნებისმიერ კრედიტორს აქვს უფლება, მიიღოს ან/და გაეცნოს მოვალის წლიურ ანგარიშს, აგრეთვე რეაბილიტაციის გეგმის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადასა და პირობებს. რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია უზრუნველყოფილ კრედიტორებს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობის შესახებ.
- [საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)

მუხლი 51. რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა

1. რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ რეაბილიტაციის გეგმის მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელება შეუძლებელია და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გეგმაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.
 2. რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებები შეიტანება იმავე წესით, როგორც მტკიცდება რეაბილიტაციის გეგმა [ამ კანონის 47-ე მუხლის](#) შესაბამისად. რეაბილიტაციის გეგმაში შესატან ცვლილებებს ამზადებს და დასამტკიცებლად წარადგენს რეაბილიტაციის მმართველი, თუ კრედიტორთა გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
 3. ამ კანონის 33-ე მუხლის 3¹ პუნქტით დადგენილი წესით დამტკიცებულ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებები შეიტანება უზრუნველყოფილ კრედიტორთა გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო თუ უზრუნველყოფილი კრედიტორი არ არსებობს – კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა სასამართლომ უნდა დაამტკიცოს. სასამართლო ამტკიცებს რეაბილიტაციის გეგმაში შეტანილ ცვლილებებს, თუ ეს ცვლილებები შეესაბამება იმ პრინციპებს, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.
- [საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)
[საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №759 - ვებგვერდი, 29.05.2017წ.](#)

მუხლი 52. რეაბილიტაციის პროცესის დასრულება და შეწყვეტა

1. რეაბილიტაციის პროცესი დასრულდება რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისთანავე.
 2. რეაბილიტაციის პროცესი შეწყდება, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შეწყვეტის შესახებ, იმ მიზეზით, რომ რეაბილიტაციის გეგმა არ ხორციელდება.
 3. კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული განცხადებით რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რეაბილიტაციის გეგმის იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც დარღვეულია განცხადების წარდგენის მომენტისათვის.
 4. სასამართლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კრედიტორის (კრედიტორების) განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 14 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტის ან შეწყვეტაზე უარის შესახებ.
 - 4¹. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.
 5. რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტა იწვევს მოვალის გაკოტრებას.
- [საქართველოს 2009 წლის 6 ნოემბრის კანონი №2003 - სსმ I, №35, 19.11.2009 წ., მუხ.267](#)
[საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი №6604 – ვებგვერდი, 12.07.2012წ.](#)
[საქართველოს 2012 წლის 21 დეკემბრის კანონი №142 - ვებგვერდი, 30.12.2012წ.](#)
[საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1869 - ვებგვერდი, 28.12.2013წ.](#)



მუხლი 53. რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტამდე განხორციელებული ქმედებები და გარიგებები
რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტის მიუხედავად, მის შეწყვეტამდე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება და გარიგება ძალაში დარჩება.

თავი VII
საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმე

მუხლი 54. საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

1. საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმე ცნობილი უნდა იქნეს საქართველოში არსებულ უძრავ ქონებასა და კრედიტორებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) სასამართლო, რომელმაც გადახდისუუნარობის საქმე განიხილა, არ არის უფლებამოსილი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

ბ) საზღვარგარეთ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის არსებით პრინციპებს, კერძოდ, პირთა ძირითად უფლებებს.

2. საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესი განისაზღვრება [„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით.](#)

მუხლი 55. საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის ცნობისას განცალკევებული წარმოება საქართველოში

1. თუ მოვალე, რომლის ქონებაზედაც საზღვარგარეთ გახსნილია [ამ კანონის 54-ე მუხლით](#) გათვალისწინებული საქმის წარმოება, უძღვება საქართველოში არსებულ ფილიალს, რომელიც თვითონ დებს გარიგებებს, ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ობიექტს, მაშინ საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის ცნობა არ გამოირიცხავს იმას, რომ საქართველოშიც გაიხსნას გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებული წარმოება, რომელიც მოიცავს მოვალის მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ ქონებას და რომელში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ კრედიტორებს აქვთ, რომელთა მოთხოვნებიც წარმოიშვა უშუალოდ ფილიალის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ობიექტის საქმიანობიდან.

2. გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებული წარმოების გახსნის შესახებ განცხადების შეტანის უფლება მოვალის ნაცვლად აქვს საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე დანიშნულ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს. კრედიტორი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადება, თუ იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირია და სასამართლოში დაასაბუთებს თავის ინტერესს გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებული წარმოების მიმართ.

3. საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეში მონაწილე კრედიტორებს საზღვარგარეთ ამ საქმის წარმოების დროს თავიანთი მოთხოვნების დაუკმაყოფილებელი ნაწილის გამო მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მონაწილეობა საქართველოში გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებულ წარმოებაში, თუ ისინი სასამართლოში დაასაბუთებენ თავიანთ ინტერესს.

4. გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებული წარმოებისათვის უნდა დაინიშნოს მეურვე, რომელიც ითანამშრომლებს საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე დანიშნულ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთან.

5. გადახდისუუნარობის საქმის განცალკევებული წარმოების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება უბრუნდება საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეზე დანიშნულ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს.

თავი VII¹

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების რეგისტრაციის წესი

მუხლი 55¹. რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს გადაწყვეტილებები გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყების, შეწყვეტის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მეურვის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის (ასევე მათი ცვლილების), რეაბილიტაციის საქმის წარმოების დასრულების და გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველზე იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.



2. გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება დაწყებულად, შეწყვეტილად, მეურვის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება (ასევე მათი ცვლილება) წარმოშობილად, რეაბილიტაციის საქმის წარმოება დასრულებულად და გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველზე იურიდიული პირის რეგისტრაცია გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში რეგისტრაციის შემდეგ.

3. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის მონაწილე საწარმოს მიმართ გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მეურვის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის (ასევე მისი ცვლილების) თაობაზე, რეაბილიტაციის საქმის წარმოების დასრულებისა და გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველზე იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის თაობაზე.

საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4948 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6307 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 55². სასამართლოს გადაწყვეტილებების რეგისტრაციის წესი

1. ამ კანონით განსაზღვრული სასამართლოს გადაწყვეტილებები რეგისტრირდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.

2. სასამართლო უფლებამოსილია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საჯარო რეესტრების წარმოების მიზნების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააფორმოს ავტორიზაციის ხელშეკრულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან.

საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4948 – ვებგვერდი, 13.07.2011წ.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 56. კანონის მოქმედება

1. ეს კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ გადახდისუუნარობის საქმეებზე, რომლებზედაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება შეტანილი იქნება ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ გადახდისუუნარობის საქმეების მიმართ, რომლებზედაც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება შეტანილია „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად, გაკოტრების და რეაბილიტაციის პროცესი უნდა დასრულდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესში და გაკოტრების რეჟიმში მყოფი სუბიექტების მიმართ შეწყდება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის მოქმედების გავრცელება და ისინი ვალდებული იქნებიან დაიწყონ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2008 წლის 19 მარტის კანონი №5970 - სსმ I, №8, 28.03.2008 წ., მუხ.58

მუხლი 57. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი.

მუხლი 58. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 15 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,

2007 წლის 28 მარტი.

№4522–II

